<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის შესახებ“

მუხლი 1 . ტერმინთა განმარტება

ა) „პირი“ - მოიცავს ფიზიკურ პირს, საპარტნიორო გაერთიანებას, ასოციაციას, კორპორაციას, ორგანიზაციას ან პირთა სხვა სახის გაერთიანებას.

ბ) „უცხოური პრინციპალი“ გულისხმობს:

ბ.ა) უცხო ქვეყნის ხელისუფლებასა ან უცხოურ პოლიტიკურ პარტიას;

ბ.ბ) იმ პირს, რომელიც იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული პირი არის ფიზიკური პირი და ამავდროულად არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე გარდა იმ პირისა, რომელიც არ არის ფიზიკური პირი, მაგრამ დაფუძნებულია და ორგანიზებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ.გ) საპარტნიორო გაერთიანება, ასოციაცია, კორპორაცია, ორგანიზაცია ან პირთა სხვა სახის გაერთიანება, რომლის საქმიანობაც მოწესრიგებულია უცხო ქვეყნის კანონით, ან რომელსაც საქმიანობის ძირითადი ადგილი უცხო ქვეყანაში აქვს.

გ) ტერმინი „უცხოური პრინციპალის აგენტი“ (გარდა ამ მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) ნიშნავს:

გ.ა) ნებისმიერ პირს, რომელიც მოქმედებს, როგორც აგენტი, წარმომადგენელი, დასაქმებული, მოსამსახურე, ან ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებს უცხოური პრინციპალის უფლებამოსილების, მოთხოვნის, ბრძანების ან კონტროლის შესაბამისად; ასევე, პირს, რომლის ნებისმიერი საქმიანობა პირდაპირ ან ირიბად არის უცხოური პრინციპალის ზედამხედველობის ქვეშ, არის მის მიერ მართული, კონტროლირებული, დაფინანსებული, ან სუბსიდირებული სრულად ან დიდწილად და, რომელიც პირდაპირ ან სხვა პირის მეშვეობით:

გ.ა.ა) მონაწილეობს საქართველოს პოლიტიკურ აქტივობებში უცხოური პრინციპალის ინტერესებისთვის ან ინტერესებიდან გამომდინარე;

გ.ა.ბ) უცხოური პრინციპალის ინტერესებისთვის ან ინტერესებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოში , როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის მრჩეველი, სარეკლამო აგენტი, საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი ან პოლიტიკური მრჩეველი;

გ.ა.გ) უცხოური პრინციპალის ინტერესებისთვის ან ინტერესებიდან გამომდინარე, მოითხოვს, აგროვებს, აფინანსებს ან გასცემს შენატანებს, სესხებს, ფულს ან სხვა ღირებულ ნივთებს საქართველოში;

გ.ა.დ) საქართველოში წარმოადგენს უცხოური პრინციპალის ინტერესებს საქართველოს სახელმწიფოს ნებისმიერი დაწესებულების ან თანამდებობის პირის წინაშე.

გ.ბ) უცხოური პრინციპალის აგენტი აგრეთვე გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც ეთანხმება, ვარაუდობს ან ამტკიცებს, რომ იმოქმედებს ან იქნება, ხელშეკრულების საფუძველზე ან მის გარეშე, უცხოური პრინციპალის აგენტი, ამავე მუხლის ,,გ.ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით.

დ) ტერმინი „უცხოური პრინციპალის აგენტი" არ ვრცელდება იმ ტიპის ახალი ამბების მაუწყებლებზე, პრეს-საშუალებებზე, ან ასოციაციებზე, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ან ნებისმიერ გაზეთზე, ჟურნალზე, პერიოდულ გამოცემაზე ან სხვა სახის პუბლიკაციაზე, იმ ტიპის კეთილსინდისიერ ახალი ამბების მაუწყებლებსა და ჟურნალისტური საქმიანობის განმახორციელებლებზე, რომლებიც მოიძიებენ ან იღებენ რეკლამას, ჰყავთ გამომწერები ან იღებენ სხვა სახის შემოსავალს, და რომელთა სულ მცირე 80%-ის მფლობელი და მისი მმართველი მენეჯერები და ხელმძღვანელობა საქართველოს მოქალაქეები არიან და ასეთი ახალი ამბების საინფორმაციო საშუალებები და პრეს ცენტრები ან ასოციაციები, გაზეთები, ჟურნალები, პერიოდული ან სხვა გამომცემლობები, არ არიან „უცხოური პრინციპალის აგენტის" მფლობელობაში, არ არიან მის მიერ მართული, კონტროლირებული, სუბსიდირებული ან დაფინანსებული, ასევე, მათი არც ერთი პოლიტიკა არ განისაზღვრება „უცხოური პრინციპალის" მიერ, რომლის მნიშვნელობაც განმარტებულია ამავე მუხლის „ბ" ქვეპუნქტში, ან „უცხოური პრინციპალის აგენტის" მიერ, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია დარეგისტრირდეს რეესტრში ამავე კანონის საფუძველზე.

ე) „უცხო ქვეყნის ხელისუფლება" გულისხმობს ნებისმიერ პირს ან პირთა ჯგუფს, რომლებიც ნებისმიერ ქვეყანაზე, გარდა საქართველოსა , ან ქვეყნის გარკვეულ ნაწილზე, სუვერენულ დე ფაქტო ან დე იურე პოლიტიკურ იურისდიქციას ახორციელებენ. ტერმინი, ასევე, მოიცავს იმ ტიპის ჯგუფებს, ქვეჯგუფებს ან სააგენტოებს, რომლებსაც პირდაპირ ან ირიბად დელეგირებული აქვთ ეს სუვერენული დე ფაქტო ან დე იურე ძალაუფლება ან ფუნქციები. ამ ტერმინმა უნდა მოიცვას ნებისმიერი სახის ფრაქცია ან ამბოხებულთა დაჯგუფება უცხო ქვეყნის შიგნით, რომლებსაც სურთ სახელისუფლებო ძალაუფლების განხორციელება, იმის მიუხედავად, აღიარებს თუ არა აღნიშნულ ფრაქციას ან ამბოხებულთა დაჯგუფებას საქართველო.

ვ) „უცხოური პოლიტიკური პარტია" გულისხმობს ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციას ან პირთა სხვა სახის გაერთიანებას, ერთეულს ან ფილიალს ნებისმიერ ქვეყანაში, გარდა საქართველოსა , რომლებიც, თავის მხრივ, მიზნად ისახავენ ან ეწევიან იმ ტიპის საქმიანობას, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ მოიცავს უცხო ქვეყნის ხელისუფლებაზე ან მის ტერიტორიულ ერთეულზე ადმინისტრირებისა და კონტროლის ან ადმინისტრირებისა და კონტროლის მოპოვების მცდელობას, ან იმ ტიპის საქმიანობას, რომელიც უცხო ქვეყანაში ან მის ტერიტორიულ ერთეულში პოლიტიკურ ან საჯარო ინტერესებზე, სახელმწიფო პოლიტიკასა ან სახელისუფლებო ორგანოების ურთიერთობებზე ზეგავლენას გააძლიერებს.

ზ) ტერმინი „მრჩეველი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში“ გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ეწევა იმ ტიპის საქმიანობას, რომელიც მოიცავს ინფორმირებას, რჩევების გაცემას, ან უცხოური პრინციპალის ინტერესების ნებისმიერი სახით გამოხატვას საზოგადოებრივი ურთიერთობების ნებისმიერ საკითხში, რომლებიც თავის მხრივ დაკავშირებულია ამ პრინციპალის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ინტერესებთან, პოლიტიკასთან ან ურთიერთობების ფორმირებასთან.

თ) ტერმინი „სარეკლამო აგენტი“ გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც პირდაპირ ან ირიბადაა ჩართული ზეპირი, ვიზუალური, გრაფიკული, წერილობითი ან ილუსტრირებული ინფორმაციის ან რაიმე სხვა სახის პუბლიკაციის გამოცემასა ან გავრცელებაში, მათ შორის, რეკლამირებით, წიგნების, პერიოდული გამოცემების, გაზეთების, ლექციების, მაუწყებლობის, კინოკადრების ან სხვა გზების გამოყენებით.

ი) ტერმინი „საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი“ გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც დაკავებულია პოლიტიკური, ინდუსტრიული, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა სახის სარგებლის, ფაქტების ან პირობების შესახებ ანგარიშების, აღწერილობების, ინფორმაციისა ან მონაცემების შეგროვებით, გავრცელებით ან გამოქვეყნებით ნებისმიერი ქვეყნის შესახებ, გარდა საქართველოსა, ან რომელიმე უცხო ქვეყნის მთავრობის ან უცხოური პოლიტიკური პარტიის ან საპარტნიორო გაერთიანების, ასოციაციის, კორპორაციის, ორგანიზაციის ან პირთა სხვა გაერთიანების ინტერესების შესაბამისად, რომელიც ფუნქციონირებს უცხოური ქვეყნის კანონის საფუძველზე ან საქმიანობის ძირითადი ადგილი უცხოურ ქვეყანაში აქვს.

კ) ტერმინი „რეგისტრაციის განცხადება“ გულისხმობს სარეგისტრაციო განცხადებას, რომელიც უნდა წარედგინოს საჯარო სამართლის იურიდულ პირს - ანტიკორუფციულ ბიუროს (შემდგომ - ანტიკორუფციული ბიურო) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. იგი, ასევე, გულისხმობს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერი საჭირო დამატებითი დოკუმენტების წარდგენას და მოიცავს როგორც ყველა სავალდებულო დოკუმენტსა და საბუთებს, ისე დამატებითი ხასიათის დოკუმენტებს ან მათში ინკორპორირებულ სხვა ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას, რომელიც თან ერთვის ძირითად დოკუმენტებს ან მათში ინკორპორირებულია მითითების სახით.

ლ) ტერმინი „ნაბეჭდი მასალა“ მოიცავს გაზეთებს, პერიოდულ გამოცემებს, წიგნებს, ბროშურებს, პარტიტურას, სავიზიტო ბარათებს, სამისამართო ბარათებს, ბეჭდვით მტკიცებულებებს, გრავიურებს, ფოტოებს, სურათებს, ნახატებს, გეგმებს, რუკებს, ამოსაჭრელ ნიმუშებს, კატალოგებს, პოსტერებს, რეკლამებს, ასევე, სხვადასხვა სახის დაბეჭდილ, გრავირებულ, ლითოგრაფიულ, ან ავტოგრაფიულ შენიშვნებს და, ზოგადად, ქაღალდზე ან სხვა სახის მასალაზე, პერგამენტზე ან მუყაოზე, ბეჭდვის, გრავიურის, ლითოგრაფიის, ავტოგრაფიის ან ქაღალდზე ასათვისებელ მასალაზე მიღებულ ყველა ანაბეჭდს. წინამდებარე ტერმინი არ მოიცავს გასამრავლებელ ქაღალდს, მოძრავ ან უძრავი ტიპის საფოსტო მარკებსა და საბეჭდ ნიშნებს.

მ) ტერმინი „პოლიტიკური საქმიანობა“ გულისხმობს ნებისმიერ საქმიანობას, რომლის განხორციელებასაც პირი გეგმავს ან სჯერა რომ განახორციელებს, რომელიც, თავის მხრივ, რაიმე სახის გავლენას იქონიებს საქართველოს ხელისუფლებაზე ან მის სახელმწიფო დაწესებულებებზე, ან საზოგადოების ნებისმიერ ფენაზე საქართველოში, მიმართული იქნება საქართველოს შიდა თუ საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე, მიღებასა ან შეცვლაზე,

ან რომელიც გამომდინარეობს უცხო ქვეყნის ხელისუფლების ან უცხოური პოლიტიკური პარტიის პოლიტიკური ან საჯარო ინტერესებიდან, პოლიტიკური მიმართულებებისა ან ურთიერთობებიდან.

ნ) ტერმინი „პოლიტიკური მრჩეველი“ ნებისმიერი პირი, რომელიც ინფორმაციას აწვდის ან რჩევებს აძლევს ნებისმიერ სხვა პირს საქართველოს შიდა ან საგარეო პოლიტიკის საკითხებში, ან უცხო ქვეყნის ან უცხო ქვეყნის პოლიტიკური პარტიის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ინტერესებთან, პოლიტიკურ მიმართულებებსა და ურთიერთობებთან დაკავშირებით.

მუხლი 2. სარეგისტრაციო განცხადება

1. არც ერთმა პირმა არ უნდა იმოქმედოს, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტმა, თუ მან ანტიკორუფციულ ბიუროს არ წარუდგინა ავთენტური და სრულად შევსებული სარეგისტრაციო განცხადება და ის დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, ან თუ ის, ამ კანონით, არ არის გათავისუფლებული რეგისტრაციისგან. გარდა შემდგომში გათვალისწინებული შემთხვევებისა, ყოველმა პირმა, რომელიც ხდება უცხოური პრინციპალის აგენტი, ათი დღის განმავლობაში, ანტიკორუფციულ ბიუროს უნდა წარუდგინოს სარეგისტრაციო განცხადების ასლი ფიცის ქვეშ, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიერ დადგენილი ფორმით. უცხოური პრინციპალის აგენტის ვალდებულება, შეავსოს სარეგისტრაციო განაცხადი, აგენტად გახდომიდან 10 დღის გასვლის შემდგომაც გრძელდება და მონაცემები ხშირად უნდა განახლდეს. ასეთი ტიპის სტატუსის შეწყვეტა არ ათავისუფლებს აგენტს მისი ვალდებულებისგან, შეავსოს სარეგისტრაციო განაცხადი იმ პერიოდისთვის, როდესაც იგი წარმოადგენდა უცხოური პრინციპალის აგენტს. სარეგისტრაციო განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს, რომლებიც ამ პუნქტის მიზნებისთვის სადოკუმენტაციო მასალად უნდა ჩაითვალოს:

ა) განმცხადებლის სახელი, პრინციპალის ბიზნეს მისამართი და მასთან დაკავშირებული ყველა სხვა ბიზნეს მისამართი საქართველოს ტერიტორიაზე, ან სხვაგან და, ასევე, ყველა საცხოვრებელი მისამართი, არსებობის შემთხვევაში.

ბ) განმცხადებლის სტატუსი; ფიზიკური პირის შემთხვევაში, ეროვნება. საპარტნიორო გაერთიანების შემთხვევაში, სახელი, საცხოვრებელი მისამართი, თითოეული პარტნიორის ეროვნება და თანაპარტნიორებთან დადებული ხელშეკრულებების ნამდვილი და სრული ასლები. ასოციაციის, კორპორაციის, ორგანიზაციისა ან სხვა ნებისმიერი სახის პირთა გაერთიანების შემთხვევაში, სახელი, საცხოვრებელი მისამართი, მმართველი მენეჯერებისა და დირექტორების, ან მათი ფუნქცია-მოვალეობების განმახორციელებელ პირთა ეროვნება, სრული წესდების ასლი, შერწყმის, ასოციაციის, კონსტიტუციის, კანონქვემდებარე აქტებისა და დამატებების მუხლები; ნებისმიერი სხვა ტიპის ინსტრუმენტისა ან დოკუმენტის ასლი და ყველა იმ ზეპირსიტყვიერი შეთანხმების წესების და პირობების წერილობითი აღწერა, რომელიც ეხება მის ორგანიზაციას, უფლებამოსილებებს და მიზნებს; და წერილობითი აღწერა მისი მფლობელობისა და კონტროლის შესახებ;

გ) ყოვლისმომცველი განცხადება განმცხადებლის საქმიანობის არსის შესახებ, ორგანიზაციაში მომუშავე თანამშრომლების სრული სია და თითოეული მათგანის სამუშაოს სპეციფიკის განსაზღვრება; სახელი და მისამართი ყველა იმ უცხოური პრინციპალისა, ვისთვისაც განმცხადებელი ახორციელებს, ვარაუდობს რომ ახორციელებს ან შეთანხმების საფუძველზე ახორციელებს საქმიანობას; ყველა ასეთი უცხოური პრინციპალის საქმიანობისა ან სხვა სახის აქტივობების სპეციფიკის შესახებ ინფორმაცია და იმ შემთხვევაში, თუ უცხოური პრინციპალი არ არის ფიზიკური პირი: განცხადება იურიდიული პირის მფლობელისა და თითოეული მაკონტროლებლის შესახებ. ასევე, ასეთის არსებობის შემთხვევაში ინფორმაცია, ყველა იმ უცხოური პრინციპალის შესახებ, რომლებიც ნაწილობრივ ან სრულად მეთვალყურეობის ქვეშ არიან, კონტროლდებიან, იმართებიან, მფლობელობაში არიან, ფინანსდებიან, ან სუბსიდირდებიან უცხო ქვეყნის ხელისუფლებისა ან/და უცხოური ქვეყნის პოლიტიკური პარტიის ან/და სხვა უცხოური პრინციპალის მიერ.

დ) თითოეული წერილობითი შეთანხმების ასლი და ზეპირსიტყვიერი შეთანხმების პირობების ასლი, მათ შორის, მსგავს შეთანხმებებში შეტანილი ცვლილებები, ან ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, სრული ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომელთა გამოც რეგისტრანტი უცხოური პრინციპალის აგენტს წარმოადგენს. თითოეული მსგავსი ხელშეკრულების არსისა და საქმიანობის მეთოდების სრულყოფილი აღწერა, ისეთი აქტივობების დეტალური აღწერა, რომლებიც განხორციელდა ან განხორციელდება მომავალში და, რომლებიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც პოლიტიკური საქმიანობა.

ე) იმ შემოსავლების, შემოწირულებების, ფულის ან ღირებული ნივთების წარმომავლობა და მათი ოდენობა, რომლებიც განმცხადებელმა უცხოური პრინციპალისგან მიიღო უკანასკნელი 60 დღის განმავლობაში კომპენსაციის ან დანახარჯების ან ნებისმიერი სხვა სახით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მითითებული უნდა იყოს, თუ რა ფორმით, როდის და ვისგან მიიღო განმცხადებელმა აღნიშნული გადახდა.

ვ) დეტალური განცხადება ყველა იმ აქტივობის შესახებ, მათ შორის, პოლიტიკური საქმიანობის შესახებ, რომელსაც განმცხადებელი ახორციელებს, მიიჩნევს რომ ახორციელებს ან თანხმდება მათ განხორციელებას საკუთარი ან სხვა პირის მიზნების, გარდა უცხოური პრინციპალის მიზნებისა, შესასრულებლად. რომელიც ავალდებულებს მას, დარეგისტრირდეს წინამდებარე კანონის მოთხოვნების მიხედვით,

ზ) ნებისმიერი იმ პირის, გარდა უცხოური პრინციპალისა, სახელი, საქმიანობის და რეგისტრაციის მისამართი, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში კი - ეროვნება რომლის ინტერესების შესაბამისადაც განმცხადებელი ახორციელებს ან მიიჩნევს რომ ახორციელებს, ან თანხმდება, რომ ახორციელებს საქმიანობას, რომელიც, წინამდებარე წესების მიხედვით, მის რეგისტრაციას საჭიროებს, რამდენად არის ეს პიროვნება უცხოური ქვეყნის მთავრობის, უცხოური პოლიტიკური პარტიისა ან სხვა ნებისმიერი ტიპის უცხოური პრინციპალის სრული ან ნაწილობრივი ზედამხედველობის, მფლობელობის, კონტროლის, სუბსიდირებისა და დაფინანსების ქვეშ; არსებობის შემთხვევაში, შემოსავლის, თანხის, ან სხვა ღირებული ნივთის სახით მიღებული კონტრიბუციის ტიპი და ოდენობა, რომელიც პირმა გასული 60 დღის განმავლობაში მიიღო ამავე მუხლის „ვ“

ქვეპუნქტის მიხედვით გათვალისწინებული საქმიანობის განმახორციელებლისგან. ასევე, მითითებული უნდა იყოს თუ რა ფორმით, როდის და ვისგან მიიღო აღნიშნული გადახდა.

თ) დეტალური განცხადება რეგისტრანტის მიერ უკანასკნელი 60 დღის განმავლობაში დახარჯული და განკარგული ფულადი თუ სხვა ღირებული ნივთის შესახებ, რომელიც კავშირშია მის იმგვარ საქმიანობასთან, რომელიც მის რეგისტრაციას საჭიროებს მოცემული კანონით და მან განახორციელა, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტმა საკუთარი ან/და სხვა პირის მიზნებისთვის, ან სხვა პირის მიზნებისთვის რომელიც კავშირშია ისეთ საქმიანობასთან, რაც მისი უცხოური პრინციპალის აგენტად გახდომის საფუძველს ქმნის. ასევე, დეტალური განცხადება მის მიერ გასული 60 დღის განმავლობაში განხორციელებული ფულადი შენატანისა ან/და სხვა ღირებული ნივთის შესახებ (გარდა იმ კონტრიბუციისა, რომელთა განხორციელებაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით), რომელიც უკავშირდება რომელიმე პოლიტიკური თანამდებობის პირის არჩევნებს ან პოლიტიკური თანამდებობის კანდიდატების შესარჩევად გამართულ პრაიმერიზს, კონფერენციას ან ყრილობას.

ი) თითოეული წერილობითი შეთანხმების ასლი და ზეპირსიტყვიერი შეთანხმების პირობების ასლი, მათ შორის, მსგავს შეთანხმებებში შეტანილი ცვლილებები, ან ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, სრული ინფორმაცია ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელთა გამოც რეგისტრანტი ახორციელებს, მიაჩნია, რომ ახორციელებს ან დათანხმდა, განახორციელოს ნებისმიერი აქტივობა, საკუთარ, უცხოური პრინციპალის ან მის გარდა სხვა პირის ინტერესებში, რომელიც ავალდებულებს მას განაცხადის წარდგენას.

კ) ყველა ასეთი სახის განაცხადება, ინფორმაცია თუ დოკუმენტაცია, რომლებიც დაკავშირებულია მიმდინარე მუხლის მიზნებთან, შესაძლოა პერიოდულად მოითხოვოს ანტიკორუფციულმა ბიურომ ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

ლ) იმ ტიპის განაცხადება, დოკუმენტთა ასლები და დამატებითი ხასიათის დოკუმენტაცია, რომლებიც საჭიროა რეგისტრაციის განაცხადისა და თანდართულ დოკუმენტებში მოყვანილი განცხადებების ჭეშმარიტების სადემონსტრაციოდ.

2. უცხოური პრინციპალის ყველა აგენტი, რომელმაც შეავსო სარეგისტრაციო განაცხადი პირველი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, ვალდებულია ყოველი 6 თვის გასვლის შემდგომ, 30 დღის ვადაში, ფიცის ქვეშ, ანტიკორუფციულ ბიუროს, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიერ განსაზღვრული ფორმით, დამატებითი ინფორმაცია წარუდგინოს, რომელიც ანტიკორუფციულ ბიუროს ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიაჩნია, რათა ინფორმაცია იყოს ზუსტი, სრულყოფილი და განახლებული იმ პერიოდთან დაკავშირებით, რომელსაც იგი აღწერს. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“, „დ“, „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე, რეგისტრანტმა ანტიკორუფციულ ბიუროს უნდა აცნობოს ნებისმიერი ცვლილების შესახებ 10 დღის ვადაში. თუ ანტიკორუფციული ბიურო , ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ინტერესების საფუძველზე, საჭიროდ ჩათვლის, აღნიშნული პუნქტის მიზნების განხორციელებისათვის, მას შეუძლია, მოითხოვოს სარეგისტრაციო განაცხადის დამატებითი დოკუმენტების ყველა თუ კონკრეტული საკითხების თაობაზე ინფორმაციის უფრო დიდი სიხშირით შევსება.

3. სარეგისტრაციო განაცხადისა და დამატებითი დოკუმენტების წარდგენა უნდა მოხდეს ფიცის ქვეშ შემდეგნაირად: ფიზიკური პირის შემთხვევაში, იგი თავად ავსებს დოკუმენტაციას; თუ განმცხადებელი საპარტნიორო გაერთიანებაა, დოკუმენტაციას ავსებს მისი წევრების უმრავლესობა; თუ პირი არ წარმოადგენს არც ფიზიკურ პირს და არც საპარტნიორო გაერთიანებას, დოკუმენტაციას ავსებენ მისი მმართველი მენეჯერების ან მათი ფუნქცია-მოვალეობების შემსრულებელი პირების უმრავლესობა ან მმართველი მენეჯერების ან დირექტორთა საბჭოს ან მათი ფუნქცია-მოვალეობების შემსრულებელი პირების უმრავლესობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. ის ფაქტი, რომ სარეგისტრაციო განაცხადი ან დამატებითი დოკუმენტები, შევსებული და წარდგენილია, არ ნიშნავს განმცხადებლის მიერ აუცილებელ და სრულ შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან. ასევე, ეს არ უნდა აღიქმებოდეს ისე, რომ ანტიკორუფციული ბიურო არ მოსთხოვს დამატებითი სახის დოკუმენტაციას, ასევე, სარეგისტრაციო განაცხადის შევსება არ გამორიცხავს სისხლის სამართლებრივ დევნას, ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ კანონის სარეგისტრაციო განცხადების ან დამატებითი დოკუმენტაციის შესაბამის ვადებში განზრახ წარუმატებლად შევსების გამო ან არსებითი ფაქტების განზრახ გაყალბების გამო ან ისეთი ფაქტების გამოტოვების გამო, რომლებიც მითითებული უნდა იყოს განაცხადში ან ისეთი მატერიალური მტკიცებულების განზრახ გამოტოვების გამო ან ისეთი მატერიალური დოკუმენტაციის ასლის გამოტოვების გამო, რომლებიც აუცილებელია წარმოდგენილ იქნას სარეგისტრაციო დოკუმენტში.

5. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს შეუძლია კანონის თანახმად, დაუშვას შემდეგი გამონაკლისები:

ა) გაათავისუფლოს რეგისტრაციისგან ან კანონით გათვალისწინებული სხვა სახის ინფორმაციის წარდგენისგან ნებისმიერი პირი, რომელიც უცხოური პრინციპალის აგენტის მიერ, ამ კანონის შესაბამისად, შევსებულ სარეგისტრაციო განაცხადში მოხსენიებულია, როგორც პარტნიორი, მენეჯერი, დირექტორი ან თანამშრომელი;

ბ) გაათავისუფლოს ნებისმიერი უცხოური პრინციპალის აგენტი ამ კანონით მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებისგან.

გ) როდესაც ასეთი პირის ფუნქციებიდან ან საქმიანობის ტიპიდან გამომდინარე, ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი გადაწყვეტს, რომ ასეთ შემთხვევაში, რეგისტრაცია ან დამატებითი ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა არ იყოს აუცილებელი ამ კანონის მიზნების განსახორციელებლად.

6. ამ მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციის განცხადება ან/და დამატებითი დოკუმენტაცია უნდა იქნეს წარდგენილი ელექტრონული ფორმით, იმ დამატებით ფორმატებთან ერთად, რომლებიც შესაძლოა მოითხოვოს ანტიკორუფციულმა ბიურომ.

მუხლი 3. გამონაკლისები

1. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება შემდეგ უცხოური პრინციპალის აგენტზე:

ა) დიპლომატიური ან საკონსულო მოხელეები - შესაბამისი წესის დაცვით აკრედიტებულ, უცხო ქვეყნის ხელისუფლების, დიპლომატიური ან საკონსულო საქმიანობის განმახორციელებელ პირებზე, რომლებიც აღიარებულნი არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაშინ, როდესაც აღნიშნული მოხელეები ექსკლუზიურად არიან ჩართულები ისეთ აქტივობებში, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულია როგორც ამ პირების ფუნქციური უფლებამოსილება.

ბ) უცხო ქვეყნის მთავრობის თანამდებობის პირები - უცხო ქვეყნის ხელისუფლების ნებისმიერი თანამდებობის პირზე, თუ ეს ხელისუფლება აღიარებულია საქართველოს მიერ და, რომელიც ამავდროულად არ არის საზოგადოებასთან ურთიერთობების მრჩეველი, სარეკლამო აგენტი, საინფორმაციო ცენტრის თანამშრომელი ან საქართველოს მოქალაქე, რომლის სახელი, სტატუსი და საქმიანობის ხასიათი დარეგულირებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ და რომელიც ეწევა იმ ტიპის ექსკლუზიურ საქმიანობას, რომელიც აღიარებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ და შედის თანამდებობის პირის მიერ განსახორციელებელი ფუნქციების ფარგლებში.

გ) დიპლომატიური ან საკონსულო მოხელეების პერსონალი - სამუშაო პერსონალის ნებისმიერი წევრზე ან ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, რომელიც დასაქმებულია უცხოური ქვეყნის ხელისუფლების სათანადოდ აკრედიტებულ დიპლომატიურ ან საკონსულო სამსახურში, რომელიც, ეწევა იმ ტიპის ექსკლუზიურ საქმიანობას, რომელიც აღიარებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ და შედის თანამდებობის პირის მიერ განსახორციელებელი ფუნქციების ფარგლებში, გარდა, საზოგადოებასთან ურთიერთობების მრჩევლის, სარეკლამო აგენტის ან საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლისა, რომლის სახელი, სტატუსი და საქმიანობის ხასიათი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციაა და რომელიც ეწევა იმ ტიპის ექსკლუზიურ საქმიანობას, რომელიც აღიარებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ და შედის თანამდებობის პირის მიერ განსახორციელებელი ფუნქციების ფარგლებში.

დ) კერძო და არაპოლიტიკური საქმიანობა, სახსრების მოზიდვა - ნებისმიერზე პირზე, რომელიც ეწევა ან თანხმობას გამოთქვამს ჩაერთოს მხოლოდ 1) კერძო და არაპოლიტიკურ აქტივობებში, უცხოურ პრინციპალთან კეთილსინდისიერი ვაჭრობის განვითარებისთვის, ან 2) ისეთი ტიპის სხვა საქმიანობაში, რომელიც უპირატესად არ ემსახურება უცხო ქვეყნის ინტერესებს; ან 3) იმ ტიპის საქმიანობას, რომელიც საქართველოში გულისხმობს ფინანსური რესურსებისა და სხვა სახის კონტრიბუციის შეგროვებას, რომელიც გამოყენებული იქნება მხოლოდ სამედიცინო ან ჰუმანიტარული მიზნებისთვის, ტანსაცმლისა და საჭმლის შეგროვების მიზნით, ადამიანების ტანჯვის შემსუბუქების მოტივით,თუ ეს საქმიანობა გამომდინარეობს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს , ამასთანავე, იგი უნდა გამომდინარეობდეს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ჩამოყალიბებული წესებისა და პროცედურების თანახმად.

ე) რელიგიური, სასწავლო ან სამეცნიერო საქმიანობა - ნებისმიერ პირზე, რომელიც თანხმდება განხორციელებას ან ახორციელებს მხოლოდ იმ ტიპის კეთილსინდისიერ

საქმიანობას, როგორიცაა რელიგიური, საქველმოქმედო, აკადემიურ, სამეცნიერო ან სახელოვნებო საქმიანობა.

ვ) საქართველოს თავდაცვის მიზნებისთვის მნიშვნელოვანი უცხო ქვეყნის მთავრობის დაცვა - ნებისმიერ პირზე ან თანამშრომელზე, რომლის უცხოური პრინციპალი არის უცხო ქვეყნის ხელისუფლება, რომლის დაცვასაც საქართველოს პრეზიდენტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს საქართველოს თავდაცვისთვის:

ვ.ა)ასეთი პირი უნდა ეწეოდეს მხოლოდ იმ ტიპის საქმიანობას, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს და ამ მთავრობის პოლიტიკას, საჯარო ინტერესს ან ეროვნულ თავდაცვას და ამავე დროს, იგი, ასევე, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას;

ვ.ბ)ამ პირის მიერ განხორციელებული ყოველი კომუნიკაცია ან გამონათქვამი, რომელსაც იგი აპირებს რომ გამოაქვეყნოს, გაავრცელოს ან ცირკულირება მოახდინოს საზოგადოებაში ან მის ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე, ან არსებობს გონივრული ეჭვი იმის შესახებ, რომ აღნიშნული ინფორმაცია გახდება საჯარო, ამგვარი აქტივობების ნაწილია, ამ პირის მიერ მოაზრებულია როგორც კეთილსინდისიერი და სწორი და გამოიწვევს ამ პირის იდენტობის გამჟღავნებას, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტი;

ვ.ბ)თუ უცხო ქვეყნის ხელისუფლება, საქართველოს სთხოვს პირის გადაცემას და შესაბამისად, ამ მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისის შეჩერებას, ანტიკორუფციულ ბიუროს შეუძლია მოითხოვოს ასეთი პირის ან დასაქმებულის ვინაობასთან, საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა სახის ინფორმაცია. ამ პირისა ან დასაქმებულისადმი ან იმ უცხო სახელმწიფოსადმი მიღებული შეტყობინებისთანავე, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობით, საზოგადოებრივი ინტერესის და ეროვნული თავდაცვის ინტერესის სათანადოდ გათვალისწინებით, შეუძლია ამ პირს ან დასაქმებულს სრულად ან ნაწილობრივ შეუწყვიტოს აღნიშნული გამონაკლისით სარგებლობის უფლება.

ზ) საადვოკატო საქმიანობის განმახორციელებელი პირები - ნებისმიერ პირზე, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც უცხოური პრინციპალისთვის საქართველოს სასამართლოების წინაშე ან ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულების წინაშე საადვოკატო საქმიანობის განმახორციელებელი პირი, იმ პირობით, რომ ამ კანონის მიზნებისთვის სამართლებრივი წარმომადგენლობა არ მოიცავს საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებაზე გავლენის მოხდენის ან მათი პერსონალის ან თანამდებობის პირების დარწმუნებას, გარდა მართლმსაჯულების წარმოების, სისხლის ან სამოქალაქო პროცესის აღსრულების, გამოძიების მსვლელობის და სამართალწარმოების პერიოდისა, რა დროსაც სტატუტით ან რეგულაციით სავალდებულოა მათი განხორციელება წერილობითი/დადასტურებული ფორმით.

თ) უცხოური პრინციპალის აგენტები - პირველი მუხლის „ბ.ბ“ და „ბ.გ“ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნებისმიერი აგენტი, თუ ეს აგენტი ჩართულია ლობისტურ საქმიანობაში და დარეგისტრირებულია ლობისტად „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 4. პოლიტიკური პროპაგანდის დახარისხება და კატეგორიზაცია

1. საქართველოში ყველა იმ პირმა, რომელიც არის უცხოური პრინციპალის აგენტი და ვალდებულია დარეგისტრირდეს ამ კანონის შესაბამისად, უცხოური პრინციპალის ინტერესის მიხედვით, ფოსტის საშუალებით ან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ან საგარეო ვაჭრობის ინსტრუმენტების ან სხვა რაიმე სახის ინსტრუმენტების გამოყენებით, საინფორმაციო მასალა ბეჭდური სახით ან ნებისმიერი სხვა ფორმით, რომელიც გავრცელდება ან, გონივრულ ფარგლებში, ივარაუდება, რომ გავრცელდება ორ ან მეტ ადამიანს შორის, ამ მასალის ორი ეგზემპლარი უნდა წარუდგინოს ანტიკორუფციულ ბიუროს, ინფორმაციის გავრცელებიდან არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში.

2. საქართველოში მყოფი პირის მიერ, რომელიც უცხოური პრინციპალის აგენტს წარმოადგენს და, ამ კანონის საფუძველზე, ვალდებულია დარეგისტრირდეს, უცხოური პრინციპალის ინტერესების შესაბამისად, საქართველოს ფოსტით, ან სხვა ნებისმიერი საშუალებით, სახელმწიფოთაშორისი ან საგარეო ვაჭრობის ინსტრუმენტების გამოყენებით, ნებისმიერი სახის საინფორმაციო მასალის უცხოური პრინციპალისთვის გადაცემა ან მისი გამოქვეყნება უცხოური პრინციპალის ინტერესების შესაბამისად, ანტიკორუფციულ ბიუროში თვალსაჩინო განცხადების წარდგენის გარეშე, რომლის თანახმადაც, მასალები გავრცელებულია აგენტის მიერ უცხოური პრინციპალის სახელით, ხოლო დამატებითი ინფორმაცია დაცულია ანტიკორუფციულ ბიუროში , ჩაითვლება უკანონოდ. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი უფლებამოსილია, განსაზღვროს ტერმინი „თვალსაჩინო“ აღნიშნული კანონის მიზნებისთვის.

3. ამ კანონით მოთხოვნილი საინფორმაციო მასალების ასლები, რომლებიც უნდა წარედგინოს ანტიკორუფციულ ბიუროს , აგრეთვე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო მონიტორინგისთვის, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

4. უკანონო იქნება საქართველოში მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც არის უცხო ქვეყნის პრინციპალის აგენტი და, რომელსაც წინამდებარე კანონის შესაბამისად, აქვს რეგისტრაციის ვალდებულება, გადასცეს ან მიაწოდოს ნებისმიერი ფორმით რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებას ან თანამდებობის პირს ასეთი უცხო ქვეყნის პრინციპალის ინტერესებში არსებული პოლიტიკური პროპაგანდა, ან მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია ან რჩევა აღნიშნული სახელმწიფო დაწესებულებისგან ან თანამდებობის პირისგან ნებისმიერ საკითხზე, რომელიც პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ ინტერესებს, პოლიტიკას ან უცხო ქვეყნის ან პოლიტიკური პარტიის ურთიერთობებს ეხება, ასევე, უკავშირდება საქართველოს საგარეო ან საშინაო პოლიტიკას. აღნიშნული უკანონოდ ითვლება, თუ პროპაგანდას ან მოთხოვნას არ აქვს თანდართული ან წინ წამძღვარებული ჭეშმარიტი და ზუსტი განცხადება იმის შესახებ, რომ აღნიშნული პირი რეგისტრირებულია უცხო ქვეყნის პრინციპალის აგენტად, წინამდებარე კანონის შესაბამისად.

5. საქართველოს პარლამენტის კომიტეტების წინაშე გამოსვლები

თუკი უცხოური პრინციპალის ნებისმიერი აგენტი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად, ვალდებულია დარეგისტრირდეს, ჩვენებით საქართველოს პარლამენტის კომიტეტის წინაშე გამოდის, მან კომიტეტს უნდა წარუდგინოს მისი უახლესი სარეგისტრაციო განცხადება, რომელიც მან, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტმა, წარადგინა ანტიკორუფციულ ბიუროში აღნიშნული კი, თავის მხრივ, უნდა დაფიქსირდეს კომიტეტის ჩანაწერებში, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტის ჩვენების ნაწილი.

მუხლი 5. დოკუმენტაცია და ჩანაწერები

ამ კანონის საფუძველზე რეგისტრირებული უცხოური პრინციპალის თითოეული აგენტი, აგენტობის პერიოდში ვალდებულია, შეინახოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ის ფინანსური ანგარიში და სხვა ჩანაწერები, რომელთა წარდგენაც სავალდებულოა ამ კანონის თანახმად. უცხოური პრინციპალის აგენტის სტატუსის შეწყვეტიდან სამი წლის განმავლობაში ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი უფლებამოსილია, ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროებისამებრ, აღნიშნული კანონის აღსრულებისთვის, რეგულაციებით განსაზღვროს აღნიშნული დოკუმენტების წარდგენის წესი. მანამ, სანამ აღნიშნული რეგულაციები ძალაში შევა, უცხოური პრინციპალის აგენტი ვალდებულია, აწარმოოს, ამავე კანონით განსაზღვრული ფინანსური დოკუმენტაცია და შეინახოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა წერილობითი ჩანაწერი. ამ ტიპის ჩანაწერები ნებისმიერ გონივრულ დროს ხელმისაწვდომი უნდა იყოს ამ კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ინსპექციის წარმომადგენლისთვის. წინამდებარე კანონით გათვალისწინებული შესანახი დოკუმენტაციის მიზანმიმართული დამალვა, განადგურება, წაშლა, მნიშვნელოვნად დაზიანება ან გაყალბება, ან ზემოთ ჩამოთვლილი აქტების ჩადენის მცდელობა, უკანონოდ ითვლება.

მუხლი 6. ოფიციალური ჩანაწერების საჯარო მონიტორინგი, ჩანაწერებისა და ინფორმაციის გადაცემა

1. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა მუდმივად უნდა შეინახოს ამ კანონის თანახმად მოწოდებული უცხოური პრინციპალის აგენტის ყველა სარეგისტრაციო განაცხადის ერთი ეგზემპლარი. იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო შემოწმებისა და მონიტორინგისთვის ისეთ გონივრულ საათებში და ისეთი რეგულაციების ფარგლებში, როგორსაც ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი განსაზღვრავს. აღნიშნული დოკუმენტაციის ასლები უნდა გადაეცეს ყველა აპლიკანტს იმ გონივრული საფასურის გადახდის შემდგომ, რომელსაც აწესებს ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი . ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს ამავე კანონის თანახმად, შეუძლია საჯარო ინსპექტირებიდან ამოიღოს იმ უცხოური პრინციპალის აგენტის სარეგისტრაციო განაცხადი და სხვა სახის დოკუმენტები, რომელსაც შეუწყდა სარეგისტრაციო განცხადების წარდგენის ვალდებულება.

2. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა სარეგისტრაციო განაცხადის მიღებისთანავე და შემდგომში ყოველი განაცხადისა თუ დამატებითი დოკუმენტაციის მიღებისთანავე, მათი ასლები უნდა გადაუგზავნოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ისეთი

გამოყენებისთვის თუ კომენტარების გაკეთების მიზნით, რომლებსაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიიჩნევს საჭიროდ საქართველოს საგარეო ურთიერთობებიდან გამომდინარე. წინამდებარე კანონის საფუძველზე, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ ასეთი ასლების საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისთვის არ/ვერ გადაცემა, არ უნდა გახდეს სისხლის სამართლებრივი დევნის შემზღუდველი ფაქტორი.

3. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი უფლებამოსილია, მიაწოდოს საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებს აღნიშნული კანონის ადმინისტრირებისას მის მიერ მიღებული ინფორმაცია, მათ შორის, რეგისტრირებულ პირთა სახელები, სარეგისტრაციო განცხადებების ასლები, მათი ნაწილები ან სხვა სახის დოკუმენტები და ინფორმაცია, რომლებიც განისაზღვრება ამავე კანონის მიზნებიდან გამომდინარე.

4. სარეგისტრაციო განცხადებებისა და განახლებების საჯარო მონაცემთა ბაზა:

ა) ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი ვალდებულია, უზრუნველყოს საზოგადოებისთვის ინტერნეტით ხელმისაწვდომი, მოძებნადი, დახარისხებადი და გადმოწერის ფუნქციის მქონე, არსებული ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში გამართული, უფასო ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს ამ კანონის შესაბამისად წარდგენილი სარეგისტრაციო განცხადებებისა და განახლებების შესახებ ინფორმაციას და არის მოძებნადი, დალაგებადი და დახარისხებადი სულ მცირე იმ კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღწერილია ამ კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში.

ბ) ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ ელექტრონულ ფორმატში წარდგენილი რეგისტრაციის თითოეული განცხადება და განახლება, რომლებიც წარდგენილია მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი ინტერნეტში ტექნიკურად შესაძლებელ უმოკლეს ვადაში სარეგისტრაციო განცხადების ან განახლების წარდგენის შემდეგ.

მუხლი 7. უცხოური პრინციპალის მიერ დასაქმებულ პირთა პასუხისმგებლობა.

უცხოური პრინციპალის აგენტის თითოეული მენეჯერი ან დირექტორი, ან ის პირი, რომელიც ახორციელებს მენეჯერისა ან დირექტორის ფუნქციებს და მათ შორის ის პირი, რომელიც არ არის ფიზიკური პირი, ვალდებულია, რომ წარმოადგინოს უცხოური პრინციპალის აგენტის იმ ტიპის განაცხადი და დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც გათვალისწინებულია ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად და იგი ასევე, ვალდებულია შეასრულოს ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-5 მუხლის და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. თავის მხრივ, ორგანიზაციის დაშლა, რომელიც მოქმედებს, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტი, არ გამოიწვევს მენეჯერის, დირექტორის ან იმ პირის, რომელიც ახორციელებს მენეჯერისა და დირექტორის ფუნქცია-მოვალეობებს, იმ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, რომელიც გულისხმობს წინამდებარე კანონის თანახმად გათვალისწინებული დოკუმენტაციის შევსებას. იმ შემთხვევაში, თუ უცხოური პრინციპალის აგენტი, ან ნებისმიერი მენეჯერი, დირექტორი, თუ მენეჯერისა ან

დირექტორის ფუნქცია-მოვალეობების შემსრულებელი პირი, არ შეასრულებს წინამდებარე კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

მუხლი 8. აღსრულება და ჯარიმები

1. ნებისმიერი პირი, რომელიც:

ა) განზრახ არღვევს აღნიშნული კანონის რომელიმე მუხლს, პუნქტს ან ქვეპუნქტს, ან

ბ) ნებისმიერ სარეგისტრაციო განცხადებაში, დამატებით დოკუმენტაციასა ან ნებისმიერ სხვა სახის დოკუმენტში, რომელიც წარდგენილია ან მიწოდებულია ანტიკორუფციული ბიუროსთვის წინამდებარე კანონის შესაბამისად და მასში განზრახ არის არსებითი ფაქტის შესახებ მცდარი ინფორმაცია ჩაწერილი ან განზრახ არის გამოტოვებული ნებისმიერი ფაქტი, ან არ არის წარდგენილი იმ დოკუმენტთა ასლები, რომელიც უნდა იყოს მითითებული მასში, ისჯება ჯარიმით არაუმეტეს 10 000 ლარის ოდენობით, ან თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს ხუთი წლის ვადით, ან შესაძლოა ორივე ერთად. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მე-2 მე-5 ან მე-6 პუნქტებით განსაზღვრული რეგულაციების დარღვევისას, ან ამ მუხლის მე-6 ან მე-7 პუნქტების დარღვევისას, სასჯელი განისაზღვრება ჯარიმით, რომლის ოდენობა არაუმეტეს 5000 ლარს შეადგენს, ან თავისუფლების აღკვეთას არაუმეტეს ექვსი თვის ვადით, ან შესაძლოა ორივეს ერთად.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი პროცედურისას, როდესაც პირი წარმოადგენს უცხოური პრინციპალის აგენტს, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთაა, მისი მხრიდან უცხოური პრინციპალის პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა ნებადართულია, მაგრამ არა აუცილებელი.

3. ნებისმიერი უცხოელი, რომელიც მსჯავრდებული იქნება წინამდებარე კანონის რომელიმე პუნქტის დარღვევისთვის, ან გამოაშკარავებული იქნება მისი მცდელობა, დაარღვიოს აღნიშნული კანონით გათვალისწინებული რეგულაციები, დაექვემდებარება გაძევებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ნებისმიერი სარეგისტრაციო განცხადების ან დამატებითი დოკუმენტების წარუდგენლობა, როგორც ამას მოითხოვს მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, განიხილება განგრძობით დანაშაულად მანამ, სანამ ასეთი დანაშაული იარსებებს, ხანდაზმულობის გარეშე და არსებულ სხვა კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი კანონის მიუხედავად.

5. როდესაც ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის განსჯით, ნებისმიერი პირი არის ჩართული ან აპირებს ჩაერთოს ნებისმიერ ქმედებაში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე კანონის რომელიმე პუნქტის, ან მის საფუძველზე გამოცემული რეგულაციების დარღვევას, ან როდესაც უცხოური პრინციპალის რომელიმე აგენტი არ ასრულებს რომელიმე კანონით გათვალისწინებულ რეგულაციას, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს, რომლის მიხედვითაც, სასამართლო დაავალდებულებს ასეთ პირს, შეწყვიტოს ეს ქმედებები ან შეწყვიტოს უცხოური პრინციპალის აგენტის სტატუსის ქვეშ მოქმედება, ან ბრძანებისთვის, რომლითაც მოთხოვნილი იქნება წინამდებარე კანონის ან მისით გათვალისწინებული ნებისმიერი

შესაბამისი რეგულაციის დაცვა. რაიონულ სასამართლოს აქვს იურისდიქცია და უფლებამოსილება, გამოსცეს დროებითი ან მუდმივი ბრძანება, შემაკავებელი ორდერი ან სხვა ისეთი ორდერი, რომელსაც ის სათანადოდ ჩათვლის.

6. თუ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი დაადგენს, რომ სარეგისტრაციო განცხადება არ შეესაბამება ამ კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან მის მიერ დაწესებულ რეგულაციებს, იგი ამის შესახებ წერილობით აცნობებს რეგისტრანტს და მიუთითებს იმის შესახებ, თუ რა მხრივაა განცხადება არასრულყოფილი. ნებისმიერი პირის მიერ უცხოური პრინციპალის აგენტად მოქმედება ჩაითვლება არაკანონიერად, ასეთი შეტყობინების მიღებიდან ათი ან მეტი დღის შემდეგ, შესწორებული სარეგისტრაციო განცხადების ამ კანონის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში წარდგენისა და რეგულაციების დაცვის გარეშე.

7. არაკანონიერი იქნება უცხოური პრინციპალის აგენტის მიერ უცხოურ პრინციპალთან გაფორმებული იმ სახის ნებისმიერი ხელშეკრულება, ან შეთანხმების მხარედ დაფიქსირება, ღიად გამოხატული ან ნაგულისხმევი ფორმით, რომლის თანახმადაც, უცხოური პრინციპალის აგენტის ანაზღაურების, ხელფასისა ან სხვა სახის მატერიალური სიკეთის ოდენობა, ან მიღება დამოკიდებული იქნება სრულად ან ნაწილობრივ მის მიერ განხორციელებული პოლიტიკური აქტივობის წარმატებაზე.

მუხლი 9. წესები და რეგულაციები

ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, შესწორება შეიტანოს, შეადგინოს, შეცვალოს და გააუქმოს ის წესები და რეგულაციები, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლის წინამდებარე კანონის განსახორციელებლად.

მუხლი 10. ანგარიშვალდებულება საქართველოს პარლამენტის წინაშე

ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი ყოველ ექვს თვეში ერთხელ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს ანგარიშს წინამდებარე კანონის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, მათ შორის, უცხოური პრინციპალის აგენტების მიერ გავლილი რეგისტრაციის რეგულაციებთან შესაბამისობის შესახებ ინფორმაციას და გავრცელებული პოლიტიკური პროპაგანდის ხასიათის, წყაროებისა თუ შინაარსის შესახებ ანგარიშს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

2024 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს გამჭვირვალობის მიზანსა და შესაბამის პრევენციულ ფუნქციას. აღნიშნულის ნათელი მაგალითია საქართველოში არსებული რეალობა. კერძოდ, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა, რომლებიც დიდი ოდენობით იღებენ უცხოური ძალისგან დაფინანსებას, უარს ამბობს კანონით გათვალისწინებულ რეესტრში რეგისტრაციაზე და ამჯობინებს დაეკისროს კანონით გათვალისწინებული სანქცია. შესაბამისად, დღეს მოქმედი კანონით ვერ ხერხდება კანონმდებლის ნების ეფექტიანი აღსრულება.

აქედან გამომდინარე, საჭიროა ისეთი კანონის მიღება, რომელიც უზრუნველყოფს კანონმდებლის ნების სათანადო რეალიზებას. მნიშვნელოვანია, რომ შემოთავაზებული კანონპროექტი არის ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის (Foreign Agents Registration Act (FARA) ზუსტი ანალოგი.

მსოფლიოში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის განცხადებები ადასტურებს საგარეო დახმარებების არაჯეროვნად გამოყენების ფაქტების არსებობას. აღნიშნული, ხშირ შემთხვევაში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, დესტაბილიზაციის, დამოუკიდებლობის ხელყოფის მცდელობასა და რევოლუციური სცენარის მხარდაჭერას ემსახურება.

აღნიშნული მხილებები გახდა რელევანტური მიზეზი იმისა, რომ გადაიხედოს საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი და მიღებულ იქნეს ამერიკული მოდელის ზუსტი ანალოგი, რათა, სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობაში გარე ძალების ჩარევის შეზღუდვა ეფექტიანად განხორციელდეს.

გამომდინარე იქიდან, რომ ამერიკის სახელმწიფო მოწყობა არის მაღალი დემოკრატიული სტანდარტის მატარებელი და ამერიკის შეერთებული შტატები ცნობილია, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ გარე ჩარევებთან ბრძოლის საუკეთესო მაგალითი, ამერიკული კანონის ანალოგის ქართულ კანონმდებლობაში დანერგვა იქნება საუკეთესო საშუალება უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:
„ა.ა.ა" ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხი, მისი მიზნიდან და არსიდან გამომდინარე, მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებას.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:
კანონპროექტის მიღების შედეგად მოწესრიგდება „ა.ა.ა" ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი წესრიგდება ძირითადად შემდეგი საკითხები:

- უცხოური პრინციპალის აგენტისა და უცხოური ძალის ცნებების განმარტებები;
- სუბიექტის უცხოური პრინციპალის აგენტად რეგისტრაციის საკითხი;
- უცხოური პრინციპალის აგენტად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის, სხვა სათანადო დოკუმენტების საჯაროობის უზრუნველყოფის საკითხი;
- უცხოური პრინციპალის აგენტად რეგისტრირებული სუბიექტის მიერ ყოველწლიური საფინანსო დეკლარაციის წარდგენის საკითხი;
- უცხოური პრინციპალის აგენტად რეგისტრირებული სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმების საკითხი;
- უცხოური პრინციპალის აგენტის გამოსავლენად ან კანონპროექტით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესრულების შესამოწმებლად მონიტორინგის განხორციელების საკითხი;
- უცხოური პრინციპალის აგენტად რეგისტრაციისთვის თავის არიდებისას ან კანონპროექტით განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნათა შეუსრულებლობისას სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი არ არის ინიციირებული საქართველოს მთავრობის მიერ

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ძირითადი ნაწილი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს, რადგან, კანონპროექტის ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, საჭიროა გარკვეული მოსამზადებელი პერიოდის არსებობა.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ხარჯების გაღების აუცილებლობის შემთხვევაში, კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყარო იქნება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. აღნიშნული ხარჯები დაიფარება შესაბამისი უწყების საქმიანობისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი ითვალისწინებს უცხოური პრინციპალის აგენტად რეგისტრაციისთვის თავის არიდებისას ან კანონპროექტით განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნათა შეუსრულებლობისას ჯარიმის დაკისრების საკითხს. ამ ჯარიმათა ოდენობა დამოკიდებული იქნება აღნიშნულ სამართალდარღვევათა ჩადენის ფაქტების რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის აღსრულებასთან დაკავშირებული, ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება შესაბამის საქმეთა წარმოების ფაქტების რაოდენობაზე და დაიფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შესაბამისი უწყების საქმიანობისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი ითვალისწინებს უცხოური გავლენის აგენტად რეგისტრაციისთვის თავის არიდებისას ან კანონპროექტით განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნათა შეუსრულებლობისას ჯარიმის დაკისრების საკითხს. ამ ჯარიმათა ოდენობა დამოკიდებული იქნება აღნიშნულ სამართალდარღვევათა ჩადენის ფაქტების რაოდენობაზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი ითვალისწინებს უცხოური გავლენის აგენტად რეგისტრაციისთვის თავის არიდებისას ან კანონპროექტით განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნათა შეუსრულებლობისას ჯარიმის დაკისრების საკითხს. ამ ჯარიმათა ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება საკითხი იმის შესახებ, რომ მათ ჰქონდეთ პრევენციული ეფექტი შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენასთან მიმართებით.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

ინიციატორის მოსაზრებით კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების

არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

კანონპროექტით წარმოდგენილი საკითხის სამართლებრივი მოწესრიგების მსგავსი სამართლებრივი მოწესრიგება და პრაქტიკა არსებობს ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არის, მაგალითად, აშშ, ავსტრალია, ისრაელი; კერძოდ, აშშ-ში მოქმედებს უცხოური გავლენის აგენტთა რეგისტრაციის შესახებ აქტი (Foreign Agents Registration Act (FARA)); 2018 წელს ავსტრალიამ აშშ-ის კანონის ნიმუშის მიხედვით მიიღო უცხოური გავლენის გამჭვირვალობის სისტემის შესახებ აქტი (Foreign Influence Transparency Scheme Act (FITSA)); ისრაელის ქნესეთმა 2016 წელს ანალოგიური ცვლილება შეიტანა 2011 წლის კანონში უცხოური პოლიტიკური პარტიის მიერ მხარდაჭერილ სუბიექტთა გამოვლენის ვალდებულების შესახებ.

ე) კანონპროექტის ავტორი:

ფრაქცია „ქართული ოცნება“

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

ფრაქცია „ქართული ოცნება“